



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 33  
 26/02/2018

33-07-4-201802261107



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №33  
 2018 წლის 23 თებერვალი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების (კომპიუტერების კომპლექტები, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 8 245,98 ლარს) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო